სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

07 ნოემბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-10/90

ბსუ-ს **იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის** დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის №02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული **„ბსუ-ში სტაჟირების გავლის წესის“** და „ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა მისაღები კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 01 ოქტომბრის №01-10/79 ბრძანების, კონკურსანტების განცხადებების (სულხან მიქელაძის 2025 წლის 17 ოქტომბრის №1366856 და 2025 წლის 24 ოქტომბრის №1400386 განცხადებები, ხატია მახარაძის 2025 წლის 20 ოქტომბრის №1368706 განცხადება და სალომე ფუტკარაძის 2025 წლის 20 ოქტომბრისა №1368878 და 2025 წლის 24 ოქტომბრის №1401649 განცხადებები) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 01 ოქტომბრის №01-10/79 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტში სტაჟიორთა შერჩევის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჟანა ჯიბლაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გიორგი დიასამიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი;

გ) ხატია ლეონიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

დ) ხათუნა აფაქიძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

ე) თეონა დეკანაძე - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

ვ) სალომე დიდია - ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიამ უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეთა ინფორმირება გასაუბრების თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ, კონკურსანტების მიერ მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის მეშვეობით.

3. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარატმენტს, საქმისწარმოების სამსახურსა (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **შერაბ დიასამიძე**